# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №Ი - 538

ქ. თბილისი „19" 10 2010 წ.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო-ს მიერ წარმოდგენილ „აჭარის სანაპირო ზოლის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტზე (აჭარის სანაპირო ზოლის წყალარინების სისტემის მშენებლობის კომპონენტი)" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ**

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ პ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №69; 07.10.10წ „აჭარის სანაპირო ზოლის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი (აჭარის სანაპირო ზოლის წყალარინების სისტემის მშენებლობის კომპონენტი)"-ზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლი ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო-ს.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №69. 07.10.10წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.*

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას,* აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.